

## განაცხადი მონაწილეობის მისაღებად: სოლიდარობის ფონდი (პოლონეთი) პარტიციპაციის აკადემია (AoP)

პოლონეთის სოლიდარობის ფონდი საქართველოში ამჟამად იღებს

პარტიციპაციის აკადემიის (AoP) სააპლიკაციო ფორმებს (AoP)

დაინტერესებული ხართ თემისა და საზოგადოებრივი ცხოვრებით?

მოწოდებული ხართ გააძლიეროთ თქვენი კომპეტენციები თემის საქმიანობაში მონაწილეობის და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მუნიციპალიტეტის განვითარების ადგილობრივ დონეზე?

თუ ასეა, ჩვენ გაგვაჩნია დიდი შესაძლებლობა გავზარდოთ თქვენი უნარები!

ჩვენ მოუთმენლად ველით თქვენს სააპლიკაციო ფორმებს

არაუგვიანეს 2019 წლის 8 მაისის 24:00 საათისა (24:00 GMT)

**პარტიციპაციის აკადემია (AoP) გაძლევთ შანსს გახდეთ პროფესიონალები ადგილობრივ დონეზე მონაწილეობის სფეროში**

### რა არის პარტიციპაციის აკადემია ?

სოლიდარობის ფონდის ( პოლონეთი) პარტიციპაციის აკადემია არის სასწავლო ციკლი, რომელიც მოიცავს სამოქალაქო ბიუჯეტის მრავალგანზომილებიან პროცესს (PB) – პირდაპირი დემოკრატიის ბევრი მოქმედი ფორმიდან ერთ-ერთს.

### რატომ ღირს მასში მონაწილეობის მიღება?

მუნიციპალურ დონეზე გადაწყვეტილების მიღებაში ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობის უზრუნველყოფის სხვადასხვა ფორმა არსებობს. სამოქალაქო ბიუჯეტი (PB) არის ერთ-ერთი მათგანი - ეს არის ადგილობრივი მთავრობის მიერ მუნიციპალური ბიუჯეტის დაგეგმვის და მართვის კომპლექსური მექანიზმი მოსახლეობასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და პროცესით დაინტერესებულ ყველა პირთან მჭიდრო თანამშრომლობით.

ბევრი აქტორი, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო, ჩართული არის საქართველოს რეგიონალური განვითარების სფეროში, აცნობენ რა ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს იმ პრაქტიკას, რომელიც საშუალებას აძლევს მოსახლეობას გახდეს ადგილობრივი განვითარების აქტიური მონაწილე. მონაწილეობის პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროა დამწყებებისა და პროფესიონალებისთვის სოლიდური ცოდნის გადაცემა, რომ მოხდეს მათი უნარებისა და კომპეტენციების უფრო ამაღლება.

### აკადემიის პროგრამა

აკადემიის პროგრამა დაფუძნებულია „პოლონეთის დახმარების“ ( Polish Aid) ფინანსური უზრუნველყოფით განხორციელებული პროექტების 4 -წლიან გამოცდილებაზე. მოხდა პოლონური და უკრაინული გამოცდილების გაზიარება, რამაც მიგვიყვანა სამოქალაქო ბიუჯეტის ქართული მოდელის შექმნამდე. პროექტმა შესაძლებლობა მისცა სოლიდარობის ფონდს ( პოლონეთი) გადაეცა პრაქტიკული უნარები, რომლებმაც შექმნეს ცოდნისა და კომპეტენციების საფუძველი იმ პროცესში გამოსასაყენებლად, რომელიც მოიცავს ადგილობრივ მონაწილეობას.

### რას ისწავლით ?

- თქვენ ნაბიჯ-ნაბიჯ გაიგებთ სამოქალაქო ბიუჯეტის (PB) პროცესს - მის პრინციპებს, განხორციელების ფაზებს, როგორ უნდა მომზადდეს რეგულაციები და კრიტიკული დოკუმენტები, როგორ უნდა შეფასდეს პროცესი იმპლემენტაციის სხვადასხვა საფეხურზე.
- თქვენ შეგეძლებათ დაგეგმოთ და ჩაატაროთ შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან და წარმართოთ ინკლუზიური დიალოგი და/ან კონსულტაციები მათთან ადგილობრივად მნიშვნელოვან საკითხებზე.
- თქვენ გაეცნობით კარგად განვითარებული საინფორმაციო კამპანიის წესებს.
- თქვენს გამოცდით აკადემიაში თეორიულ კურსზე დაგროვილ ცოდნას პრაქტიკული კურსის დროს, საქართველოში სოლიდარობის ფონდის ( პოლონეთი) მენტორების და პრაქტიკოსების საველე აქტივობებში დახმარების სახით.

### - ვის შეუძლია აპლიკაციის შემოტანა?

- ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებს ( მუნიციპალიტეტები)
- არასამთავრობო ორგანიზაციის წევრებს
- ადგილობრივ მოსახლეობას, რომელიც დაინტერესებულია ადგილობრივი/ სათემო მონაწილეობით.

## სოლიდარული ფონდის (პოლონეთი) ექსპერტები?

პარტიციპაციის აკადემია (AoP) შედგება ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული გამოცდილებისგან.

შესაბამისი მოდულები იქნება მიწოდებული პოლონელი და უკრაინელი უმაღლესი კლასის ექსპერტების მიერ და ამავე დროს ადგილობრივი ექსპერტების მიერ, რომლებიც გაგიზიარებენ საქართველოს გამოცდილებას და პრაქტიკას.

## კურსის სტრუქტურა

კურსი შედგება სამი 2-დღიანი სესიისგან (სულ 48 საათი), რომელიც ჩატარდება თბილისში 2019 წლის მაის-ივნისში. თეორიულ კურსს მოსდევს სავსელე პრაქტიკა (სულ 10 საათი) 2019 წლის ივლის-სექტემბერში საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში. პარტიციპაციის აკადემია (AoP) დასრულდება გამოცდით, რომელიც ჩატარდება 2019 წლის სექტემბერში თბილისში.

პარტიციპაციის აკადემია (AoP) თითოეულ კურსდამთავრებულს სთავაზობს შესაძლებლობას განაცხადოს სამოქალაქო ბიუჯეტის სერტიფიკატის (PBC) მიღების სურვილზე.

სამოქალაქო ბიუჯეტის სერტიფიკატი (PBC) არის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს სამოქალაქო ბიუჯეტის (PB) თეორიულ ცოდნისა და პრაქტიკულ უნარების გარკვეულ დონეს. სერტიფიკატი კონკრეტულად შეაფასებს აპლიკანტის შესაბამისობას სამოქალაქო ბიუჯეტის სტანდარტებთან შესაბამისობას მის პრაქტიკაში და უზრუნველყოფს ღრმა შეფასებას, თუ როგორ უნდა გაიუმჯობესოს უნარები.

## შერჩევის კრიტერიუმები .

აპლიკანტები შეფასდებიან ჩამოთვლილი კრიტერიუმებით:

- ქართული ენის სრულყოფილად ცოდნა;
- შესაძლო დაუცველი ჯგუფის წევრი;
- პარტიციპაციის აკადემიაში (AoP) მონაწილეობის მოტივაცია;
- ადგილობრივ თემზე მოსალოდნელი ზეგავლენა პარტიციპაციის აკადემიაში (AoP) სწავლის დროს დაგროვილი ცოდნის და უნარების გამოყენების შედეგად;
- გამოცდილება პარტიციპაციის სფეროში, ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების, საზოგადოებრივი ან სათემო აქტივობების ჩათვლით ადგილობრივი თემის სახელით;
- შესაძლებლობა და მზადყოფნა, და პარტიციპაციის აკადემიის (AoP) ყველა მოდულში მონაწილეობის მიღების დადასტურება;
- კარიერულ საფეხურზე პარტიციპაციის მექანიზმების ჩართვის გეგმები.

**სად და როგორ ?** ყველა საგანმანათლებლო სესია ჩატარდება თბილისში:

- 1<sup>st</sup> სესია:** 17-18 მაისი 2019  
**2<sup>nd</sup> სესია:** 31 მაისი – 1 ივნისი 2019  
**3<sup>rd</sup> სესია:** 21-22 ივნისი 2019  
**საველ ე პრაქტიკა:** ივნისი – აგვისტო 2019  
**გამოცდა ა:** სექტემბერი, 2019  
**სერტიფიცირება (ნებაყოფილობითი):** ოქტომბერი, 2019

პოლონეთის სოლიდარობის ფონდი საქართველოში ანაზღაურებს პარტიციპაციის აკადემიასთან (AoP) დაკავშირებულ ყველა ხარჯს (მგზავრობა, დაბინავება, კვება და სატრენინგო მასალები)

ონლაინ აპლიკაციის ფორმა ხელმისაწვდომია აქ : <https://forms.gle/jELoALstUgR1KA3BA>

**ონლაინ აპლიკაციების ბოლო ვადა – 8 მაისი, 2019 წელი/**

ყველა კანდიდატს ეცნობება შერჩევის თაობაზე არაუგვიანეს **2019 წლის 10 მაისისა**

პარტიციპაციის აკადემიის ( AoP) მონაწილეების შერჩევა მოხდება ტრანსპარენტული და სამართლიანი პროცესის საფუძველზე, იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რაც იქნება მოწოდებული სააპლიკაციო ფორმებში..

ორგანიზატორი: პოლონეთის სოლიდარობის ფონდი საქართველოში